საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№96 2017 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

„ქ. სალუქვაძისათვის და გ. ჯალაღონიასთვის მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 27 იანვრის №26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ქ. სალუქვაძისათვის და გ. ჯალაღონიასთვის მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 27 იანვრის №26 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭოთ უფლებამოსილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ქეთევან სალუქვაძესა და სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს გურამ ჯალაღონიას გამართონ

მოლაპარაკება „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის მათ შესაბამის სახელმწიფო ტერიტორიებსა და მათი სახელმწიფო ტერიტორიების ფარგლებს გარეთ საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით.

გიორგი კვირიკაშვილი